

## საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და აფხაზეთის მაგალითზე

### აბსტრაქტი

კვლევის მთავარ მიზანია, საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპის - ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დეტალური ანალიზი და მათი წარმოდგენა კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების მაგალითზე. კერძოდ, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების სამართლებრივი შეფასებას და იმ ძირითადი განსხვავებების ჩვენებას, რომლებიც, ერთი მხრივ, კოსოვოს, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზეთის კონფლიქტების სამართლებრივ ასპექტებს უკავშირდება.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმის ფაქტის დეტალურ ანალიზზე, თუ რატომ იყო დასავლეთის, კერძოდ, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO)<sup>3</sup> მხრიდან კოსოვოს კონფლიქტში ჩართვა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების უმრავლესობის მიერ ნაწილობრივ ლეგიტიმური და, მეორე მხრივ, საერთაშორისო-სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის ჩართვა აფხაზეთის კონფლიქტში და აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარება სრულად სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებული. ნაშრომის დასკვნით ნაწილში საუბარია იმაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მომავალში საერთაშორისო თანამეგობრობამ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა პრინციპების დაცვის მიმართულებით.

### შესავალი

როგორც გასული საუკუნეების, ასევე დღევანდელ მსოფლიოში სეპარატიზმთან და ირედენტაზმთან დაკავშირებული საკითხი ერთ-ერთ უდიდეს, გლობალური ხასიათის პრობლემას წარმოადგენს. ჩვენი პლანეტის განსხვავებულ რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები სხვადასხვა ინტენსივობით მუდმივად იბრძვიან საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, რასაც, ხშირად, კონკრეტული სახელმწიფოსგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოდ ჩამოყალიბების (სეპარატიზმი), ან მეორე სახელმწიფოსთან მიერთების (ირედენტაზმი) შესახებ მოთხოვნა მოსდევს. ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს აყალიბებენ და თავიანთ ბრძოლას ძალადობრივი გზით ახორციელებენ. ამ შემთხვევაში უდიდეს პრობლემას ისიც, რომ ასეთ რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს, ხშირად, გარეშე ძალა (კონკრეტული სახელმწიფო, უცხო ქვეყანაში მოქმედი ლობისტთა ჯგუფები, კერძო კომპანიები) უწევს დახმარებას. საქართველო სწორედ იმ ქვეყნების რიგს ეკუთვნის, რომლებმაც,

<sup>1</sup> შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო სწავლების ცენტრის დირექტორი.

<sup>2</sup> შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო სწავლების ცენტრის მკვლევარი.

<sup>3</sup> ოფიციალური ვებ-გვერდი იხ. <<https://www.nato.int>>.

იმპერიალისტური ამბიციების მქონე უცხო სახელმწიფოს ირიბი და პირდაპირი აგრესიის წყალობით, დაკარგა კონტროლი საკუთარ ორ ისტორიულ რეგიონზე.

ამ მხრივ, საქართველო არ არის ის ერთადერთი გამონაკლისი, რომელმაც საკუთარ ტერიტორიაზე კონტროლი, უცხო ძალების ჩარევის შედეგად, დაკარგა. ამ პრობლემის წინაშე გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დადგა სერბეთიც, რომელმაც, NATO-ის მიერ 1999 წლის მარტიდან ივნისამდე განხორციელებული სამხედრო კამპანიის შედეგად, დაკარგა კონტროლი კოსოვოს ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მთავარი მიზანია, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების იურიდიული საფუძვლების დეტალური ანალიზი. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, მთავარი კითხვაა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ კოსოვო ან აფხაზეთი გადაიქცეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ? რა ძირითადი საერთო და განმასხვავებელი იურიდიული ასპექტები არსებობს კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის? ამაზე დაყრდნობით, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შემდეგი საკვლევო კითხვების ჩამოყალიბება:

- დაარღვია თუ არა NATO-მ 1999 წელს და რუსეთმა 2008 წელს საერთაშორისო სამართლის ნორმები სერბეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციების ფარგლებში?
- იყო თუ არა დაცული რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები სერბეთის და საქართველოს ტერიტორიებზე გარეშე ძალების ჩარევისას?
- როდის შეიძლება, ერთდროულად, დაცული იქნას ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპები?

სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნება სოციალური მეცნიერებების ფარგლებში არსებული თვისებრივი კვლევის მეთოდი: სხვადასხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში გაანალიზებულ იქნება საერთაშორისო და ქვეყნის შიდა სამართლებრივი სხვადასხვა დოკუმენტი, რომელიც საქართველოსა და სერბეთის ტერიტორიაზე არსებული ორი კონფლიქტს ეხება. გარდა ამისა, ნაშრომში დიდი ყურადღება დაეთმოა განსახილველ კონფლიქტთა პოლიტიკურ ასპექტებს, გარეშე ძალების როლს ორივე მათგანში და მათ სამართლებრივ და პოლიტიკურ შედეგებს.

### საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო საჯარო სამართლის ყველაზე უფრო ზოგადი, საბაზისო და საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფოთა სამართლებრივი ქცევის წესები, რომლებიც მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის საფუძვლად ითვლება და გამოხატავს საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებასა და ინტერესებს; ისინი, კაცობრიობის განვითარების პროცესის შედეგად, დღეისათვის დამკვიდრებულ, ზოგადსაკაცობრიო მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს ეფუძნება და სხვა სამართლებრივი სუბიექტებისათვის.<sup>4</sup>

საერთაშორისო სამართლის ყოველი ძირითადი პრინციპი იურიდიული ნორმაა და მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სახელმწიფოებისათვის, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან შედარებით, უპირატესი ძალა აქვს.<sup>5</sup>

საერთაშორისო სამართლის პრინციპების სხვადასხვა ხასიათი საყოველთაოდ აღიარებულ, ზოგად საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან საერთაშორისო ჩვეულებას ეფუძნება. ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების („გაერო“)<sup>6</sup> წესდებაში<sup>7</sup> (1-ლი თავი, მე-2 მუხლი) და, აგრეთვე, გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში

<sup>4</sup> *ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005, 283.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ოფიციალური ვებ-გვერდი იხ. <[www.un.org](http://www.un.org)>.

<sup>7</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<http://www.un.org/en/charter-united-nations/>>.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ<sup>8</sup>. ისინი სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას უკავშირდება და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის („ეუთო“)<sup>9</sup> 1975 წელს ხელმოწერილ ჰელსინკის დასკვნით აქტი<sup>10</sup> გაეროს წესდების განმარტებით ინსტრუმენტებადაა აღიარებული.<sup>11</sup>

ეს პრინციპებია: 1. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა; 2. ძალით დამუქრებისა და მისი გამოყენების აკრძალვა; 3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა; 4. საზღვრების ურღვევობა; 5. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა; 6. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; 7. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება; 8. ადამიანის უფლებათა პატივისცემა; 9. სახელმწიფოს მოვალეობა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან გაეროს წესდების შესაბამისად; 10. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.<sup>12</sup>

### ერთა თვითგამორკვევა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებიდან ორი - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპები ერთმანეთს აშკარად ეწინააღმდეგება. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, კონკრეტული ტერიტორიის სტატუსთან დაკავშირებით, საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია არაერთგვაროვანი იყო. თუ ერთ შემთხვევაში, სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სამართლებრივ მიზეზთა გამო, საერთაშორისო საზოგადოება ან სახელმწიფო კონკრეტული ტერიტორიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას უჭერდა მხარს, სხვა შემთხვევაში, - ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას<sup>13</sup>.

ეს პოლემიკა როგორც სამართლებრივ, ასევე პოლიტიკურ ქრილში დღესაც გრძელდება და ამის ნათელ მაგალითს, საერთაშორისო საზოგადოებისა და ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან, კოსოვოსა და აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობა, პირველ რიგში, გაერო, მსოფლიოს რეგიონებში მდებარე სხვადასხვა ტერიტორიის განსაზღვრის საქმეში აქტიურად ჩაერთო. კერძოდ, გაეროს დაარსების დღიდან, მის ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურას გაეროს სამეურვეო საბჭო წარმოადგენდა, რომელიც გაეროს წესდების XIII თავის საფუძველზე იქნა შექმნილი. იგი გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრისგან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, სსრკ) შედგებოდა<sup>14</sup>. სამეურვეო საბჭოს მუშაობის პროცესში, 1945-1994 წლებში მის დაქვემდებარებაში მყოფმა 11 ტერიტორიამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიიღო<sup>15</sup>. გარდა ამისა, გაეროს მიერ, დეკლარაციის პოლიტიკის მიმართულებით, გატარებული ღონისძიებები, რომლებიც „თანაბარ უფლებებსა და ხალხთა თვითგამორკვევას“<sup>16</sup>, აგრეთვე, გაეროს წესდების შესაბამისი თავების (XI, XII და XIII) კონკრეტულ მუხლებს ეფუძნებოდა, დამოუკიდებელი ხალხების კოლონიური

<sup>8</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/RES/2625\(XXV\)](https://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/2625(XXV))>; იხ., ასევე Basic Facts about the United Nations, United Nations Department of Public Information, New-York, 2005, 269.

<sup>9</sup> ოფიციალური ვებ-გვერდი <<https://www.osce.org>>.

<sup>10</sup> *ქარუმიძე, ვ.*, საერთაშორისო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო კავშირი ცოდნა, თბილისი, 2004, 233-235.

<sup>11</sup> *ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, დასახ. წყარო, მე-4 სქ.

<sup>12</sup> *Игнатенко, Г. В.*, Международное Право, 2-е издание, Норма, Москва, 2002, 121-134.

<sup>13</sup> ამის ნათელი მაგალითია კოსოვოს და აფხაზეთის შემთხვევები, როდესაც დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს, ხოლო რუსეთი სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. აფხაზეთის შემთხვევაში კი, პირიქით, დასავლეთი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

<sup>14</sup> დასახ. წყარო, მე-8 სქ., 13.

<sup>15</sup> ეს ტერიტორიებია: განა, სომალი, კამერუნი, ტოგო, რუანდა, ბურუნდი, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, სამოა, ნაურუ და პაპუა-ახალი გვინეა და პალაუ.

<sup>16</sup> დასახ. წყარო, მე-8 სქ., 283-286.

მმართველობისაგან განთავისუფლებას უკავშირდებოდა. 1960 წლიდან გაერო, ცალკეული ქვეყნებისათვის, დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხში, გენერალური ასამბლეის მიერ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მიღებულ დეკლარაციას<sup>17</sup> ეფუძნებოდა. ეს დოკუმენტი, ასევე „დეკოლონიზაციის შესახებ“ დეკლარაციითაა ცნობილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გატარებული ზომების შედეგად, „ცივი ომის“ პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 102 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა<sup>18</sup>.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის („სსრკ“), იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის დაშლის, ამ ქვეყნების ადგილზე 22 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. 1993 წელს აფრიკის კონტინენტზე გაჩნდა ახალი სახელმწიფო ერთრეა, რომელიც ეთიოპიას გამოეყო, ხოლო 2012 წელს - სამხრეთ სუდანი. ამავე დროს, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში 2004 წელს შეიქმნა ახალი სახელმწიფო ტიმორ ლესტე (ყოფილი აღმოსავლეთ ტიმორი), რომელმაც, საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად, დამოუკიდებლობა ინდონეზიისგან მიიღო. შესაბამისად, დღეს, გაეროს სრულუფლებიანი წევრია 193 სახელმწიფო<sup>19</sup> სახეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობა მიესალმებოდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების შექმნას, რაც გაეროს დეკლარაციებშიც იქნა ასახული, 1975 წელს ხელმოწერილი, ჰელსინკის საბოლოო აქტით, პრიორიტეტს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას ანიჭებდა.<sup>20</sup>

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, მსოფლიო თანამეგობრობა, კონკრეტულ სადავო ტერიტორიასთან მიმართებით, დღესაც დგას როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი დილემის წინაშე. ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ დღეისათვის მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 200-მდე სუვერენული სახელმწიფო არსებობს, პლანეტაზე არსებული ერების რაოდენობა კი 5000-ს აღემატება<sup>21</sup>. ამ ვითარების გათვალისწინებით, 2014 წლის მონაცემებით, დღევანდელ მსოფლიოში არსებობს 414 კონფლიქტური რეგიონი<sup>22</sup>. რა თქმა უნდა, სიტუაცია უმართავი გახდება იმ შემთხვევაში, თუკი ყველა ერი მოინდომებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

ამის გათვალისწინებით, პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს შორის არჩევანის გაკეთებაშია კონკრეტული სადავო ტერიტორიის მიმართ, როდესაც, ერთი მხრივ, არსებობს სეპარატიზმისა და, მეორე მხრივ, ირედენტის საფრთხე.

ამიტომაც საინტერესოა, სამართლებრივი თვალსაზრისით, განვიხილოთ კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტების სამართლებრივი, მათ შორის, საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია თითოეული კონფლიქტის დეტალური, პირველ რიგში კი, სამართლებრივ ჭრილში განხილვა.

## კოსოვო

თანამედროვე კოსოვოს ტერიტორია, ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში, სერბეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. 1389 წელს სწორედ კოსოვოს ველზე,

<sup>17</sup> „კოდუა, ე., ბერაია, ლ., სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ლოგოს პრესი, თბილისი 2004.

<sup>18</sup> Chitadze, N., World Geography. Political, Economic and Demographic Dimensions, Scholars Press, Germany, 2017, 70.

<sup>19</sup> იხ. <<https://www.un.org/en/member-states/>>.

<sup>20</sup> Kegley, C., Blanton, S., World Politics. Trend and Transformation, Wadworth, Cengage Learning, USA, 2011, 353.

<sup>21</sup> ნეიბე, ვ., მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური გეოგრაფია, ლეგა, თბილისი, 2004, 46.

<sup>22</sup> Chitadze, N., დასახ. ნაშრომი, მე-18 სქ., 116.

გაიმართა ისტორიული ბრძოლა სერბეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ჯარებს შორის<sup>23</sup>, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა, რის შედეგადაც, სერბეთი თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა<sup>24</sup>. სწორედ იმპერიის ხელმძღვანელთა ინიციატივით, თანამედროვე კოსოვოს ტერიტორიაზე ისლამის მიმდევარი ეთნიკური ალბანელების ჩასახლება მიმდინარეობდა. მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, კერძოდ 1878 წელს გამართული ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, სერბეთმა ოსმალეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა<sup>25</sup>. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი, ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიების დაშლის კვალობაზე, მათ შემადგენლობაში შემავალი სამხრეთ სლავების ხალხები ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ, რომელსაც სერბთა, სლოვენთა და ხორვატთა, ხოლო 1929 წლიდან იუგოსლავიის სამეფო ეწოდა<sup>26</sup>. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1945 წლიდან იუგოსლავიაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა და შეიქმნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში 6 სოციალისტური რესპუბლიკა. ერთ-ერთი სოციალისტური რესპუბლიკის, სერბეთის შემადგენლობაში კოსოვოს ავტონომიური მხარე შედიოდა<sup>27</sup>. 1989 წელს იუგოსლავიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, კოსოვოს ავტონომია გააუქმა, რამაც ვითარების შემდგომი გამწვავება გამოიწვია<sup>28</sup>. 1995 წელს იუგოსლავიის ერთ-ერთ ყოფილ რესპუბლიკაში, კერძოდ, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის დასრულებისას, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება უკვე კოსოვოსკენ იყო მიპყრობილი, სადაც კოსოვოელი ალბანელები სერბეთისგან სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. სულ უფრო ხშირდებოდა შეტაკებები კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიასა და სერბეთის პოლიციას შორის<sup>29</sup>.

სიტუაციამ კულმინაციას 1998 წელს მიაღწია, როდესაც სერბ პოლიციელებსა და „კოსოვოს განთავისუფლების არმიის“ მებრძოლებს შორის ღია კონფლიქტის შედეგად, 1500-მდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 400 ათასამდე - იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბოსნიის კონფლიქტის ანალოგიურად, სიტუაციის ნორმალიზაციის პროცესში NATO ჩაერთო. 1998 წლის 26 მაისს, NATO-ის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე კოსოვოს მიმართ ალიანსის ორი მთავარი მიზანი იქნა განსაზღვრული; კერძოდ<sup>30</sup>:

- კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება;

- სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ალბანეთსა და მაკედონიაზე.

1998 წლის 12 აგვისტოს გავრცელდა ალიანსის გენერალური მდივნის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ კოსოვოში სამხედრო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში, NATO იძულებული იქნებოდა დაეგეგმა შესაძლო სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციები კრიზისის აღმოფხვრის მიზნით<sup>31</sup>.

უკვე თვენახევრის შემდეგ, 1998 წლის 24 სექტემბერს, NATO-ის საბჭომ ისევ განიხილა კოსოვოში შექმნილი ვითარება და გამოაცხადა, რომ ალიანსი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში საჭირო კამპანიის დასაწყებად<sup>32</sup>. იმავე წლის 9 ოქტომბერს, NATO-რუსეთის

<sup>23</sup> ჭიქისტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<https://www.britannica.com/event/Battle-of-Kosovo-1389-Balkans>>.

<sup>24</sup> *Somel, A. S.*, Historical Dictionary of the Ottoman Empire, Scarecrow Press, Oxford, 2003, 268.

<sup>25</sup> *Shafer, K. A.*, The Congress of Berlin of 1878: its origins and consequences, Portland State University, 1989, 50.

<sup>26</sup> *ჭანტურია, გ.*, მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. საქართველოს მაცნე. 2004.

<sup>27</sup> NATO Handbook, Public Diplomacy Division. Brussels, 2006, 149. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.nato.int/docu/handbook/2006/hb-en-2006.pdf>>.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> *ჩიტაძე, ნ.*, ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, მაჯენტა პრინტი, 2008, 108.

<sup>31</sup> იქვე, 109.

<sup>32</sup> იქვე, 110.

ერთობლივი საბჭოს სხდომაზე ორივე მხარემ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერებას კრიზისის საბოლოო მოგვარების მიზნით.

კონფლიქტის პრევენციის მიზნით, 24-25 ოქტომბერს NATO-ის მაღალჩინოსნები, გენერლები კლარკი და ნაუმანი ეწვივნენ ბელგრადს და შეხვდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩს. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ბელგრადი ძალადობის შეჩერების აუცილებლობაში.

აღსანიშნავია, რომ NATO-ის უმაღლესი სამხედრო პირების ვიზიტმა და, საერთო ჯამში, NATO-ის დიპლომატიუმმა აქტიურობამ დროებითი შედეგი გამოიღო, რაც აღნიშნულ იყო კიდევ NATO-ის გენერალური მდივნის 27 ოქტომბრის განცხადებაში, სადაც იგი მიესალმებოდა NATO-ის მესვეურებისა და იუგოსლავიის პრეზიდენტის შეხვედრას, თუმცა მოგვიანებით, კერძოდ, 1999 წლის დასაწყისიდან კოსოვოს ტერიტორიაზე, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შედეგად, სულ უფრო, იზრდებოდა ლტოლვილთა რიცხვი.

პრობლემების გათვალისწინებით, კოსოვოსა და მთლიანად რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარება აიძულებდა ალიანსს, უფრო რადიკალური ზომები გაეტარებინა, რადგან, რამდენიმე რაუნდიანი მოლაპარაკებათა პროცესის მიუხედავად, 1999 წლის დასაწყისიდან იუგოსლავიის ხელისუფლებამ განახლებული ძალებით მიმართა რეპრესიებს კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რაც იწვევდა ე.წ. „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ წინააღმდეგობას. მშვიდობიანი მოსახლეობა იძულებული იყო მასიურად დაეტოვებინა თავიანთი საცხოვრებელი სახლები. უკვე 1999 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ლტოლვილთა რაოდენობამ 210 ათასს მიაღწია. ევროპის შუაგულში იქმნებოდა ჰუმანიტარული კატასტროფის რეალური საშიშროება. დასავლეთის მედიასა და ფართო საზოგადოებრივ წრეებში, სულ უფრო ხმამაღლა, გაისმოდა NATO-ის მიმართ კრიტიკა უმოქმედობის გამო<sup>33</sup>.

იუგოსლავიის ხელისუფლების ანტისახალხო პოლიტიკის ფონზე, NATO-ში, სულ უფრო სერიოზულად, განიხილებოდა ძალის გამოყენების ალტერნატივა, რისთვისაც ალიანსის შესაბამის სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული სამხედრო მზადება დაიწყო.

სამხედრო სამზადისის მიუხედავად, აქცენტი კვლავ კეთდებოდა კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაზე. NATO-ის აქტიურობისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ბელგრადის ხელისუფლება იძულებული გახდა განეახლებინა მოლაპარაკებები კოსოვოელ ალბანელებთან. მოლაპარაკებათა პროცესი გაიმართა 1999 წლის 6 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში. მოლაპარაკებათა პროცესის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ სერბები, რომლებიც კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ, არ თანხმდებოდნენ კოსოვოში NATO-ის სამშვიდობო ძალების განლაგებას, რაშიც მათ მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთი. თავის მხრივ, საკუთარ პოზიციას აფიქსირებდნენ კოსოვოელი ალბანელებიც, რომლებიც უარს აცხადებდნენ განიარაღებაზე, თუ ისინი კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს არ მიიღებდნენ. საბოლოო ჯამში, დასავლეთის პოლიტიკური წრეების აქტიურობის შედეგად, შესაძლებელი გახდა კოსოვოელ ალბანელთა დათანხმება შეთავაზებულ წინადადებაზე, მაგრამ ბელგრადის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო მარტის თვეში მოლაპარაკებების პროცესი ჩაიშალა.<sup>34</sup>

მარტის დასაწყისში NATO-ამ არაერთხელ გააფრთხილა ბელგრადის ხელისუფლება, რომ, თუ იგი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს და სამართლებრივი ნორმების უხემ დარღვევას კოსოვოში, რის შედეგადაც ხორციელდებოდა ძალადობა კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ასევე, თუ იუგოსლავიისათვის მიუღებელი იქნებოდა რამბუიეში შეთავაზებული წინადადებები, ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე, 111.

საერთო ჯამში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოსოვოში არსებული დამაბული ვითარების მიმართ ლიანსის პრობლემისადმი დამოკიდებულება ხასიათდებოდა გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით, თუმცა, საბოლოოდ, ამ კრიზისის არსებობამ უდიდესი გავლენა მოახდინა NATO-ის ცვლილებებზე, დადებითი მიმართულებით, რადგანაც მან, მნიშვნელოვნად, შეუწყო ხელი ორგანიზაციის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას (გაეროს ავტორიტეტის დაცემის პარალელურად) და მისი ფუნქციებისა და მიზნების თანამედროვე რეალობასთან მისადაგებას. კოსოვოში NATO-ის მოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ახლებურად გააზრების საქმეში, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ შეიქმნა პრეცედენტი, NATO-ის ფარგლებს გარეთ, ფართო მასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელების, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება, ძალადობის შეჩერება. ეს კი, მთლიანობაში, ემსახურებოდა სამართლიანობის აღდგენასა და ზნეობრივი პრინციპების დაცვას. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა და ზნეობრივი-მორალური ფასეულობების დაცვა არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა და, როდესაც ალიანსის ყოველგვარმა მცდელობამ - კოსოვოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა - არ მოიტანა რეალური შედეგი, იუგოსლავიის ხელისუფლების არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, NATO იძულებული იყო განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის) წინააღმდეგ; ამის მიზეზი, როგორც ცნობილია, იყო ის მასშტაბური ეთნიკური წმენდა, რომელსაც მილოშევიჩის რეჟიმი ატარებდა კოსოვოელი ალბანელების, ანუ ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ.<sup>35</sup>

საერთაშორისო სამართლის კუთხით, ამ ოპერაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების - რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის - პოზიციების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე NATO-ის მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას, ალიანსს იძულებულს ხდიდა, განეხორციელებინა სამხედრო კამპანია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე.

მას შემდეგ, რაც კოსოვოში სიტუაცია მნიშვნელოვნად გართულდა, NATO დადგა დიდი წინაშე, რომელიც დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ფართო განხილვის საგნად იქცა. პრობლემა იყო იმაში, რომ დასავლეთის წინაშე იდგა მეტად რთული კითხვა: კერძოდ, რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა ალიანსს იმ შემთხვევაში, თუკი ძალისხმევა და პოლიტიკური ზეწოლა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე შედეგს არ გამოიღებდა და მილოშევიჩის ანტიდემოკრატიული რეჟიმი კვლავ გააგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების დევნასა და რეპრესიებს. ნათელი იყო, რომ, ამ შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე, NATO, ბოსნიის კონფლიქტის მსგავსად, იძულებული გახდებოდა გამოეყენებინა სამხედრო ძალა, თუმცა აქ, როგორც უკვე აღინიშნა, სიტუაციას ართულებდა საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმები, რომელთა საფუძველზეც, ძალის გამოყენება და მშვიდობის იძულებითი დამყარება შესაძლებელი იქნებოდა გაეროს წესდების VII მუხლის საფუძველზე, ხოლო ამ დებულების პრაქტიკული განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ; ეს, ალბათ, მიუღწეველი იქნებოდა, რადგან უკვე ცნობილი იყო, რომ რუსეთი სერბების მიმართ ცნობილი სიმპატიების გამო, უთუოდ, გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, თუ NATO დაიცავდა სამართლის არსებულ ნორმებს, იგი იძულებული გახდებოდა, დათანხმდებოდა იუგოსლავიის რეტროგრადული ხელისუფლების მიერ სამართლის ელემენტარული ნორმების უხეშ დარღვევას, პირველ

<sup>35</sup> იქვე, 112.

რიგში კი, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, ადამიანის უფლებათა ხელყოფას.<sup>36</sup>

მოვლენათა ასეთი სცენარის მიხედვით განვითარებას შეეძლო, უაღრესად დიდი და, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავტორიტეტისათვის და ეს, იმ დროს, როდესაც ალიანსის როლი ევროატლანტიკურ სივრცეში, სულ უფრო და უფრო, იზრდებოდა და ეს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში აღიქმებოდა როგორც უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვის მთავარი გარანტი. ამას NATO-ის ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებდა.

გარდა აღნიშნულისა, პრობლემა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ NATO-ის ავტორიტეტის შესაძლო შელახვასთან, არამედ კოსოვოში ძალადობის გაგრძელებას შეეძლო, დამანგრეველი გავლენა მოეხდინა მეზობელ ქვეყნებზე და, შესაძლოა იყო, მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. პირველ რიგში, აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფლიქტში კოსოვოელი ალბანელების დაცვის მიზნით, შესაძლოა, ჩართულიყო ალბანეთიც, ასევე მაკედონიის ალბანური მოსახლეობა, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს შეადგენდა. ამიტომაც NATO, ბელგრადის ანტოდემოკრატიული პოლიტიკის გამო, ვერ დაუშვებდა ბალკანეთში ახალი კონფლიქტური კერისა და ევროპული კრიზისის წარმოქმნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისთვის ძალის გამოყენება დასჭირდებოდა.

მეორეს მხრივ, დასავლეთში კარგად აცნობიერებდნენ იმ საშიშროებასაც, რომელიც, NATO-ის მიერ კოსოვოს კონფლიქტში ჩარევის შემთხვევაში, შეიქმნებოდა NATO-ისა და რუსეთს შორის და ეს იმ დროს, როდესაც მოსკოვში, სულ უფრო, ძლიერდებოდა ანტიდასავლური ტენდენციები, სავსებით რეალური იყო, რომ, გაეროს გვერდის ავლით, შესაბამისად, რუსეთის თანხმობის გარეშე, ალიანსის მიერ კოსოვოს პრობლემის მოგვარების მცდელობას შესაძლოა იყო, ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობების გაუარესება გამოეწვია.

წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციის გამო, NATO-ის მიერ სამათლებრივი და პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ძალის გამოყენება-არგამოყენების შორის პრინციპული არჩევანის გაკეთებასთან იყო დაკავშირებული, მოკავშირეთა მტკიცე სოლიდარობა და გაბედული ნაბიჯების გადადგმა სჭირდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, NATO-ის მიერ, კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კოსოვოში ვითარების განმუხტვის მიზნით, დასავლეთმა მრავალმხრივ დიპლომატიურ აქტიურობას მიმართა. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები, ექსპერტები და ევროატლანტიკური სტრუქტურების წარმომადგენლები. ეს საკითხი ძირითად თემად იქცა NATO-ის საბჭოშიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორგანიზაცია ფართო კონსულტაციებს აწარმოებდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოშიც, სადაც, NATO-ის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით, სხვადასხვა დონეზე, განიხილებოდა კოსოვოში შექმნილი ვითარება. განხილვის უმნიშვნელოვანესი ასპექტი გახლდათ მშვიდობის დაცვის სფეროში NATO-ისა და პარტნიორების პრაქტიკული თანამშრომლობის მეთოდებისა და ფორმების შემუშავება, რომელთა მიზანსაც ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის დაცვა წარმოადგენდა. ეს კონსულტაციები, მოგვიანებით, კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში გადაიზარდა.

მარტის დასაწყისში NATO-ამ, არაერთხელ, გააფრთხილა ბელგრადის ხელისუფლება, რომ, თუ იგი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს და სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევას კოსოვოში, რის შედეგადაც ხორციელდებოდა ძალადობა კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და, ასევე, თუ იუგოსლავიისათვის მიუღებელი იქნებოდა რამდენიმე შეთავაზებული წინადადებები, ალიანსი იძულებული იქნებოდა, დაეწყო სამხედრო ოპერაცია. მიუხედავად ამ მოწოდებისა, მილოშევიჩის რეჟიმმა იგნორირება გაუკეთა NATO-ის წინადადებებს, რის საპასუხოდაც, 1999 წლის 24 მარტს, NATO-ის თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის დირექტორმა

<sup>36</sup> იქვე, 113

მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების“ დაწყების შესახებ; იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ საჰაერო რეიდების განხორციელება სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ NATO-მ გამოხატა თავისი მზადყოფნა, დაეცვა ჟენევის 1949 წლის<sup>37</sup> და ჰააგის 1954 წლის კონვენციების<sup>38</sup> ყველა ნორმა და ოპერაცია განხორციელებინა მხოლოდ იუგოსლავიის სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და მიეღო ყველა ზომა „თანმდევი ზიანის“ (collateral damage) თავიდან ასაცილებლად, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ობიექტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას ითვალისწინებდა. სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზნად დასახელდა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და, აქედან გამომდინარე, კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების მასშტაბების შემცირება<sup>39</sup>.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა, სამხედრო კამპანიის შესაჩერებლად, იუგოსლავიის ხელმძღვანელობისაგან ხუთი ძირითადი პირობის შესრულება მოითხოვა:

- სამხედრო ოპერაციებისა და ძალადობის შეწყვეტა კოსოვოში;
- კოსოვოდან იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოყვანა;
- კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება;
- ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე და თანამშრომლობის დაწყება საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რათა მათ საშუალება მისცემოდათ, დახმარება გაეწიათ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის;
- კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით, რამბუიეში დაწყებული პროცესის გაგრძელება.

NATO-ის გადაწყვეტილება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ წარმოადგენდა ახალ ეტაპს ალიანსის 50-წლიან ისტორიაში. ალიანსის მხრიდან ამ გაბედულ ნაბიჯს თვისობრივი ცვლილება შეჰქონდა არა მარტო ალიანსის კონცეფციაში, არამედ საერთაშორისო სამართალშიც.

მაგალითად, NATO-ის წესდების მიხედვით, ალიანსს სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა შეიარაღებულ თავდასხმას NATO-ის წევრ რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ, კერძოდ, NATO-ის წესდების<sup>40</sup> მე-5 მუხლში აღნიშნულია: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ, ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში განიხილება როგორც სამხედრო აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი შეიარაღებული თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი, გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით, უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს ან მხარეებს ისეთი ინდივიდუალური ან ერთობლივი მოქმედებებით, რომლებიც, საჭიროების მიხედვით, გულისხმობს შეიარაღებული ძალის გამოყენებას ჩრდილო ატლანტიკური რეგიონში უშიშროების აღდგენისა და შემდგომი შენარჩუნების მიზნით. ამავე დროს, თუ დავეყრდნობით ნატო-ს წესდებას, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პასუხისმგებლობის ზონის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა<sup>41</sup>.

ნებისმიერი ასეთი შეიარაღებული თავდასხმისა და მის გამო მიღებული ყველა ზომის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. მოქმედებები შეწყდება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენა-შენარჩუნებისათვის საჭირო ზომებს“.

გარდა, ამისა, NATO-ის წესდების პირველ მუხლში აღნიშნულია შემდეგი: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულივან იღებენ, რომ, გაეროს წესდების შესაბამისად, ყველა საერთაშორისო ხასიათის დავა, რომელშიც ისინი შესაძლოა, აღმოჩნდნენ ჩართული, მშვიდობიანად მოაგვარონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას; ასევე საერთაშორისო ურთიერთობისა,

<sup>37</sup> *ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, დასახ. წყარო მე-4 სქ., 297

<sup>38</sup> იქვე, 298.

<sup>39</sup> იქვე, 312.

<sup>40</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/stock\\_publications/20120822\\_nato\\_treaty\\_en\\_light\\_2009.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/stock_publications/20120822_nato_treaty_en_light_2009.pdf)>.

<sup>41</sup> იქვე.

მოერიდონ ძალის ნებისმიერ გამოყენებას და მისი გამოყენების მუქარას, თუ ეს ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს“.

შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ როგორც NATO-ის წესდების პირველი, ასევე მე-5 მუხლები, ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ NATO, თავისი საქმიანობის ფარგლებში, გაეროს წესდების ძირითად პრინციპებს ეფუძნება. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის განხილვაც, სადაც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო საზოგადოებას არ გააჩნია უფლება ჩაერიოს სუვერენული სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში. კერძოდ, წესდებაში ხაზგასმულია, რომ: „წინამდებარე წესდება, არავითარ შემთხვევაში, არ აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, არსებითად, ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციაში შემავალ საქმეებში, ჩარევის უფლებას და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისაგან ამგვარი საქმეების წარმოდგენას წინამდებარე წესდების წესით მოსაგვარებლად; თუმცა ეს პრინციპი არ გულისხმობს იძულებითი ზომების მიღებას VII თავის საფუძველზე“<sup>42</sup>.

NATO-ის მხრიდან ზემოაღნიშნული იურიდიული დოკუმენტების პატივისცემის მიუხედავად, ალიანსი და მისი წევრი სახელმწიფოები მყარად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად. ამგვარად, NATO თავის მოქმედებაში საერთაშორისო სამართალზე მაღლა მორალურ საწყისსა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას და ეს შეიძლება, ჩაითვალოს რევოლუციური მოვლენად, რადგან ალიანსი, არსებული რეალობების გათვალისწინებით, გარკვეულწილად, თავის თავზე იღებდა გაეროს უფლებას მიეღო გადაწყვეტილება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება კაცობრიობის წინაშე დანაშაულს ახორციელებს მითუმეტეს, რომ თავისი ქმედებით, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდისაგან დაცვას ითვალისწინებდა, NATO თავის პატივისცემას აფიქსირებდა 1949 წელს მიღებული გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციისა<sup>43</sup> და 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის<sup>44</sup> ძირითადი პრინციპების მიმართ.

1999 წლის 10 ივნისს, NATO-ის მიერ სამხედრო კამპანიის განხორციელების შედეგად, რომელიც 77 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, NATO-ის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მან მისცა დავალება ევროპაში NATO-ის გაერთიანებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს NATO-ის ავიაციის მიერ სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან კონსულტაციების გამართვისა და გენერალ კლარკის ინფორმაციის თანახმად, რომლის მიხედვითაც, კოსოვოდან იუგოსლავიის ჯარების გაყვანა დაიწყო.<sup>45</sup> იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების კოსოვოდან გამოსვლის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 1999 წლის 9 ივნისს მოეწერა.<sup>46</sup>

1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია, სადაც იგი მიესალმა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის მიერ კოსოვოს კრიზისის დარეგულირების პრინციპების მიღებას, მათ შორის, იმ პრინციპებს, რომლებიც ძალადობის შეწყვეტისა და სამხედრო კონტინგენტის გაყვანისაკენ იყო მიმართული.<sup>47</sup> განცხადებულ იქნა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოში გაეროს ეგიდით სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ.

კოსოვოში პირველი დანაყოფები 1999 წლის 12 ივნისს შევიდა. სამხედრო-ტექნიკური შეთანხმების<sup>48</sup> თანახმად, კოსოვოს ძალები (KFOR) 50 ათასს სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა. NATO-ის აქტიურობის შედეგად, სახლებში დაბრუნება შეძლო 1 მლნ. 300

<sup>42</sup> Basic Facts about the United Nations. United Nations Department of Public Information. New-York, 2005, 5.

<sup>43</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219170>>.

<sup>44</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/UDR\\_Translations/eng.pdf](https://www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/UDR_Translations/eng.pdf)>.

<sup>45</sup> იბ. <<https://www.nato.int/kosovo/press/p990610a.htm>>.

<sup>46</sup> 27-ე სქ.-ში დასახ. წყარო, 150.

<sup>47</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://undocs.org/S/RES/1244\(1999\)](https://undocs.org/S/RES/1244(1999))>.

<sup>48</sup> 27-ე სქ.-ში დასახ. წყარო, 150

ათასამდე იძულებით გადაადგილებულმა პირმა.<sup>49</sup> 2007 წლის მონაცემებით, კოსოვოში განლაგებული იყო NATO-ის დაახლოებით 16 ათას კაცის კონტინგენტი.<sup>50</sup>

მოგვიანებით, კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის მიზნით, შეიქმნა გაეროს ადმინისტრაცია კოსოვოში, ასევე კომისია ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის მარტი აპტისაარის მეთაურობით, რომელსაც კოსოვოს საბოლოო სამართლებრივი სტატუსი უნდა განესაზღვრა. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ კოსოვოს უნდა მინიჭებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია<sup>51</sup>, რომელსაც მხარი დასავლეთის და სხვა წამყვანმა სახელმწიფოებმა დაუჭირეს, რუსეთისა და ჩინეთის გარდა.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და იმის მიუხედავად, რომ კოსოვო *de facto* დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოადგენს, კერძოდ, ის გაერთიანებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, იგი დამოუკიდებელი დელეგაციით წარსდგა მსოფლიო ოლიმპიადაზე 2016 წელს და სხვა. დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური ვითარება კოსოვოში ძალზედ რთულია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაეროს საერთაშორისო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სერბეთის სარჩელი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ კოსოვოს ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მოეპოვებინა დამოუკიდებლობა.<sup>52</sup> თუმცა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით, კოსოვო ვერ გადაიქცა სრულყოფილ სამართლის სუბიექტად, რადგანაც იმისათვის, რომ ქვეყანა იყოს სამართლის სრულყოფილი სუბიექტი, ის უნდა იყოს გაეროს წევრი; მიუხედავად იმისა, არსებობს კონკრეტული წესი ქვეყნის გაეროში მიღებისათვის, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციას და, საერთო კონსენსუსის საფუძველზე, რომელსაც მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი, საბჭო გაეროს გენერალურ ასამბლეას მიმართავს რეკომენდაციით, ხოლო გენერალური ასამბლეა, თავის მხრივ, ხმათა უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას ქვეყნის გაეროში გაწევრიანების შესახებ. რუსეთისა და ჩინეთის მუდმივი წინააღმდეგობის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით, კოსოვოს პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ვერ ხერხდება.

## აფხაზეთი

კოსოვოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, რა თქმა უნდა, აუცილებელია, საქართველოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული, აფხაზეთის საკითხის, პირველ რიგში, სამართლებრივი თვალსაზრისით, განხილვა. როგორც ცნობილია, აფხაზეთიც, კოსოვოს მსგავსად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობს.

აფხაზეთსა და კოსოვოს ერთი მთავარი მსგავსება აქვს, კერძოდ ის, რომ ორივე ეს ტერიტორია, შესაბამისად, სერბეთისა და საქართველოს ისტორიულ რეგიონებს წარმოადგენდა. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, შედიოდა კოლხეთის, შემდეგ ეგრისის სამეფოების, 975 წლიდან კი გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში, რაც რუსული წყაროებითაც დასტურდება.<sup>53</sup> მოგვიანებით, კერძოდ, მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საქართველოს ერთიანობა შეირყა და ქვეყანა 3 სამეფოდ და 5 სამთავროდ დაიშალა, აფხაზეთის სამთავრო ქართულ სახელმწიფო ერთეულად ითვლებოდა. ეს სამთავრო რუსეთის იმპერიამ 1864 წელს გააუქმა.<sup>54</sup>

<sup>49</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 30-ე სქ., 116.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> იქვე, 11.

<sup>52</sup> *Richmond-Barak, D.*, The International Court of Justice on Kosovo: Missed Opportunity or Dispute 'Settlement'? Hague Yearbook of International Law, 2011, 12. ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://portal.idc.ac.il/FacultyPublication.Publication?PublicationID=1616&FacultyUserName=YmFyYWsuZGFwaG5l>>.

<sup>53</sup> *Прохоров, А. М.*, Советский Энциклопедический Словарь, 1988. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.twirpx.com/file/2301484/>>.

<sup>54</sup> *ხორავა, ბ.*, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=711>>.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კერძოდ, 1918-1921 წლებში, აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა და სრული ავტონომიით სარგებლობდა. კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის უზენაესი კანონის მეთერთმეტე თავის 107-ე მუხლის მიხედვით, რომელიც საქართველოს ავტონომიურ ერთეულებს უკავშირდებოდა, აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა<sup>55</sup>. კერძოდ, კონსტიტუციაში აღნიშნული იყო შემდეგი: „მეთერთმეტე თავი ეხება ავტონომიურ მმართველობას და ორი მუხლისგან შედგება. საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოსა (ბათუმის მხარე) და საინგილოს (ზაქათალის ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა“<sup>56</sup>.

საქართველოში დემოკრატიული რეჟიმის ძალადობრივი დამხობისა და კომუნისტური წეს-წყობილების დამყარების შემდგომ (1921 წლის 25 თებერვალი), ადგილი ჰქონდა „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ გამოცხადების მცდელობას (1921 წლის 31 მარტი),<sup>57</sup> თუმცა, საბოლოო ჯამში, აფხაზეთი მოქცეულ იქნა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ე.წ. „სახელმწიფოებო რესპუბლიკის“ ფორმით, რაც 1924 წლიდან სსრკ-ის კონსტიტუციებში ინტერპრეტირებულ იქნა როგორც „ავტონომიური რესპუბლიკა“, როგორცადაც ის ფორმალურად არსებობს კიდევ 1931 წლიდან.<sup>58</sup> 1931 წლის 19 თებერვლიდან, აფხაზეთი ოფიციალურად არის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს კონსტიტუციების მიხედვით.<sup>59</sup>

სსრკ-ის 1936 და 1977 წლის კონსტიტუციების საფუძველზე, საბოლოოდ იქნა განსაზღვრული ავტონომიების სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, ავტონომიური წარმონაქმნები წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკების განუყოფელ შემადგენელ ნაწილებს. ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო ერთადერთი ავტონომიური წარმონაქმნი ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელსაც თავის კონსტიტუციაში ჰქონდა სპეციალური მუხლი სახელმწიფო ენის - აფხაზურის - შესახებ.<sup>60</sup>

ამის მიუხედავად, აფხაზეთმა (მოსახლეობის ნაწილმა), ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების ფარული წაქეზებით, არაერთხელ, განაცხადა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლის სურვილი. ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც ისტორიული სამართლიანობის პრინციპს, რადგანაც, როგორც აღინიშნა, აფხაზეთი ყოველთვის ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ასევე თვით აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას, რადგანაც, თუ გავითვალისწინებთ თუნდაც იმ ფაქტს, რომ 1989 წლის მონაცემებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა 525 ათასს ადამიანს შეადგენდა, საიდანაც 213

<sup>55</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <[http://constcentre.gov.ge/failebi/1921\\_clis\\_konstitucia\\_33442.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf)>.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> 1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამ ნაბიჯის შედეგი იყო ის, რომ შეიქმნა სამიზი პრეცედენტი და ამოქმედდა სეპარატიზმის „ნაღმი“. თუმცა, ეს იმდენად ალოგიკური და გაუმართლებელი ნაბიჯი იყო, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მალევე გააუქმა და აფხაზეთი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. 1921 წლის დეკემბერში აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში საკავშირო ხელშეკრულების მეშვეობით, ხოლო 1931 წელს აფხაზეთის საკავშირო რესპუბლიკა გარდაიქმნა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. იხ. *სონდულოაშვილი, ა.*, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1921-31 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №12, თბილისი, უნივერსალი, 2014, 66-79.

<sup>58</sup> 1924 წლის სსრკ-ის კონსტიტუციაში აფხაზეთი მოხსენიებულია, როგორც ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა, თუმცა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ის ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა.

<sup>59</sup> *პიპინაშვილი, დ.*, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009, 113-114.

<sup>60</sup> იქვე.

ათასი ეთნიკური ქართველი იყო<sup>61</sup>, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა (არამარტო ეთნიკური ქართველები) აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის წინააღმდეგი იყო, რასაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიც ადასტურებს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მეორე ფაქტორი ის იყო, რომ აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილი საზოგადოების ნაწილის საქართველოდან გასვლის მოთხოვნა, სამართლებრივი თვალსაზრისით, თვით იმ დროს საქართველოში მოქმედ (სსრკ-ის დამლამდე) საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის მიერ 1977 წელს მიღებული კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით, „მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება იყოს შეცვლილი მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული საზღვარი შეიძლება შეცვლილ იქნეს მხოლოდ შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც სსრკ-ის მხრიდან დამტკიცებას ექვემდებარება“<sup>62</sup>. გარდა ამისა, სსრკ-ის კონსტიტუციის 79-ე მუხლის მიხედვით, „მოკავშირე რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის სამხარეო, საოლქო, რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სხვა საკითხებს“<sup>63</sup>. მიუხედავად ამისა, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთს შორის ე.წ. „სამართლებრივი ომი“ გაჩაღდა; კერძოდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის მთავარი კითხვა იყო: „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა და საქართველოს დამოუკიდებლობას ქვეყნის მოსახლეობის 98%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი. ამ რეფერენდუმში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის დაახლოებით 60%-მა მიიღო მონაწილეობა და მონაწილეთა 99%-მამხარი საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა.<sup>64</sup> როდესაც რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“, იმავე დღეს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ „საქართველო სრულ ავტონომიას ანიჭებდა აფხაზ ხალხს“<sup>65</sup>.

1992 წლის იანვარში, საქართველოში ხელისუფლების ცვლის შედეგად, საქართველოს სამხედრო საბჭომ გააკეთა განცხადება „1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ“<sup>66</sup>. როგორც უკვე აღინიშნა, 1921 წლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვითაც, აფხაზეთი, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ავტონომიის სტატუსით სარგებლობდა<sup>67</sup>. მას შემდეგ, რაც სამხედრო საბჭო გაუქმდა და, მის ნაცვლად, სახელმწიფო საბჭო დაფუძნდა, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, არაერთხელ, გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი მზადყოფნას გამოხატავდა, ეწარმოებინა მოლაპარაკებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მაგრამ, საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, რუსეთის აქტიური წაქეზებით, აფხაზეთის სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა ისარგებლეს არსებული ვითარებით და 1992 წლის 23 ივლისს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილმა მიიღო დადგენილება<sup>68</sup> „აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის“<sup>69</sup> აღდგენის შესახებ“, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს

<sup>61</sup> მამარდაშვილი, გ., წულაძე, გ., მაღლაფერიძე, ნ., სულაბერიძე, ა., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება, გუმინ, დღეს, ხვალ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტი, 109. ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39660.pdf>>.

<sup>62</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#iii>>.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<https://www.radiotavisupleba.ge/a/otsdakhuti-tseli-damoukideblobis-agdgenis-referendumidan/27646279.html>>.

<sup>65</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0>>.

<sup>66</sup> პიპინაშვილი, დ., დასახ. ნაშრომი, მე-59 სქ., 83.

<sup>67</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<https://www.constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlisaqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page>>.

<sup>68</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18506.pdf>>.

<sup>69</sup> იქვე.

შემადგენლობიდან გასვლას ნიშნავდა.<sup>70</sup> ეს დადგენილება უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილმა მიიღო მას შემდეგ, როდესაც ქართველი დეპუტატები სხდომას არ ესწრებოდნენ.<sup>71</sup> ამავე დროს, საკონსტიტუციო ცვლილებას დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა სჭირდებოდა, სხდომას კი მხოლოდ დეპუტატთა ნახევარი ესწრებოდა, ამიტომ ეს გადაწყვეტილება იყო არალეგიტიმური და თვით აფხაზეთის (იმ დროს მოქმედ) კონსტიტუციასაც<sup>72</sup> აშკარად ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე, იმ დროს, 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია მოქმედებდა. ამ დოკუმენტის 163-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს დაუჭერდა დეპუტატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-ისა. ამ დროისათვის, აფხაზეთში ეროვნულ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ. კერძოდ, 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 44%-ს ქართველები შეადგენდნენ, კერძოდ, იმ დროისთვის, საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონში 213 000 ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა, ხოლო ეთნიკურ აფხაზთა პროცენტული შემადგენლობა კი 17%-ით განისაზღვრებოდა.<sup>73</sup> მიუხედავად ამისა, აფხაზეთში, იმ დროს არსებული საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც ავტონომიურ რესპუბლიკაში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა მოქმედებდა, უზენაეს საბჭოში აფხაზები 28 დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილნი, როდესაც ქართველ დეპუტატთა რაოდენობა 26-ით განისაზღვრებოდა, ხოლო, რაც შეეხება არა-აფხაზ და არა-ქართველ დეპუტატებს, მათთვის (რომლებიც მოსახლეობის 39%-ს წარმოადგენდნენ) მხოლოდ 11 სადეპუტატო მანდატი იყო განკუთვნილი.<sup>74</sup> ბუნებრივია, ეს საარჩევნო კანონმდებლობა ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ სამართლებრივ ნორმებს და იგი გახლდათ წმინდა აპარტიდული ხასიათის<sup>75</sup>, როდესაც ერთ ეთნიკურ ჯგუფს, სხვებთან შედარებით, მეტი პოლიტიკური უფლებები გააჩნდა. ასეთი ვითარება ხელს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მტრულად განწყობილ ძალებს აძლევდა. შესაბამისად, აღწერილი შემადგენლობით დაკომპლექტებულმა, აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, რიგი ისეთი „კანონები“ დაამტკიცა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1992 წლის 23 ივლისს მიიღო „დადგენილება“ „აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ“, რომლის თანახმადაც შეწყდა აფხაზეთის ასრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება (რომლის ფარგლებშიც, აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიოდა) და აღდგა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია. აღსანიშნავია, რომ ამ ე.წ. კონსტიტუციის ამოქმედება საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც კი არ მომხდარა. თავის დროზე, აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობამ გადაწყვიტა, დაესრულებინა წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და შესაბამისობაში მოეყვანა იგი საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებთან. კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც განხილულ იქნა აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობის მიერ, არ გამოქვეყნებულა. 1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ-ის მოსახლე ყველა ეროვნებისათვის უზრუნველყოფილი იყო მშობლიური ენის თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების უფლება როგორც თავის ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო-სახელმწიფო დაწესებულებებში, აფხაზეთის სსრ-ის სახელმწიფო დაწესებულებათა ენად კი აღიარებული იყო რუსული ენა<sup>76</sup>.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა იქ შექმნილ ვითარებაზე, პირველ რიგში, რუსეთს ეკისრებოდა. 1992-1993 წლებში რუსეთის ტერიტორიაზე

<sup>70</sup> *მკურნალობე, გ., ხამბაძე, გ.*, პოლიტოლოგია, ცოდნა, 2000, 186.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> კონსტიტუციის ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <[http://apsnyteka.org/file/konstitutsiya\\_abkhazskoy\\_ASSR\\_1979.pdf](http://apsnyteka.org/file/konstitutsiya_abkhazskoy_ASSR_1979.pdf)>.

<sup>73</sup> *ჩიტაძე, ნ.*, გეოპოლიტიკა, უნივერსალი, 2011, 319.

<sup>74</sup> იქვე.

<sup>75</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2883>>.

<sup>76</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18506.pdf>>.

ჩრდილოკავკასიელი ბოვეიკების გაწვრთნით და აფხაზეთში შეგზავნის, ასევე სეპარატისტული ბანდფორმირებების დაფინანსებისა და მათთვის შეიარაღებისმიწოდების შედეგად, 1974 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული „აგრესიის შესახებ“ რეზოლუციის მიხედვით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ირიბი აგრესია განახორციელა.<sup>77</sup> გარდა ამისა, საომარი მოქმედებების დროს, კერძოდ 1992 წლის 3 სექტემბერს, 1993 წლის 14 მაისს, 1994 წლის 27 ივლისს, რუსეთის შუამავლობით, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც, იმავე რუსეთის წაქეზებით, აფხაზურმა მხარემ რამდენჯერმე დაარღვია.<sup>78</sup> კერძოდ, თუ ბოლო ზავის ხელშეკრულებას<sup>79</sup> გავითვალისწინებთ, ქართულმა მხარემ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების ყველა პირობა შეასრულა და გაიყვანა მძიმე ტექნიკა აფხაზეთის ტერიტორიიდან<sup>80</sup>. მიუხედავად ამისა, სწორედ ამის შემდეგ, აფხაზურმა მხარემ (რეალურად ჩრდილოკავკასიელმა ბოვეიკებმა, კაზაკებმა და რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა), ანუ *de facto*, რუსეთმა დაიწყო შეტევა სოხუმზე, რის შედეგადაც საქართველომ, 1993 წლის 27-30 სექტემბრის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე კონტროლი დაკარგა.<sup>81</sup>

შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ირიბი აგრესიის პარალელურად, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის კიდევ ორი ძირითადი პრინციპი დაარღვია, კერძოდ, „სახელმწიფოს მოვალეობა, ითანამშრომლონ ერთმანეთთან გაეროს წესდების შესაბამისად“ და „საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება“.<sup>82</sup>

ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის დიალოგი 1994 წლიდან განახლდა, 1994 წლის 4 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით<sup>83</sup>, ორივე მხარემ გამოხატა მზაობა „[დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის] დსთ-ის<sup>84</sup> კოლექტიური უსაფრთხოების ძალების კონფლიქტურ ზონაში განთავსების შესახებ“<sup>85</sup>. 1994 წლის 20 მაისიდან, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და დანარჩენ საქართველოს შორის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, დსთ-ის ძალების ეგიდით, კონფლიქტის ზონაში რუსეთის „სამშვიდობოები“ განთავსდნენ.<sup>86</sup> მოგვიანებით, რუსეთმა, „სამშვიდობო ძალების“ მეშვეობით, არაერთხელ, გაუწია დახმარება აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს, მაგრამ ამის პარალელურად ქმნიდა ილუზიას, თითქოს, მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 1994 და 1996 წლებში რუსეთმა, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ეუთოს ფარგლებში, კერძოდ, ბუდაპეშტისა (1994)<sup>87</sup> და ლისაბონის სამიტებზე (1996)<sup>88</sup> მხარი დაუჭირა რეზოლუციებს, რომლებიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ქართველთა ეთნიკურ წმენდას“ უკავშირდებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, 2008 წელს, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ უკვე პირდაპირი აგრესია განახორციელა, ეს იყო პასუხი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კოსოვოს აღიარების გამო. სწორედ ამ პროცესზე საპასუხო ზომების მიღებით, რუსეთმა მიიღო დადგენილება აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ რეგიონებთან მიმართებით, არანაირ *de facto* დამოუკიდებლობაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სიტუაციას სრულად რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს.

<sup>77</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<http://hrlibrary.umn.edu/instree/GAres3314.html>>.

<sup>78</sup> *პოპინაშვილი, დ.*, დასახ. ნაშრომი, მე-59 სქ., 83.

<sup>79</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology>>.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7514>>.

<sup>83</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18509.pdf>>.

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> *პოპინაშვილი, დ.*, დასახ. ნაშრომი, მე-59 სქ., 157.

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> იხ. ვებ-გვერდი <[https://www.osce.org/event/summit\\_1994](https://www.osce.org/event/summit_1994)>.

<sup>88</sup> იხ. ვებ-გვერდი <<https://www.osce.org/mc/39539?download=true>>.

## რუსეთისა და დასავლეთის პოზიციების შედარება კოსოვოსა და აფხაზეთის საკითხებზე

დასავლეთისა და რუსეთის პოზიციები კოსოვოსა და აფხაზეთის საკითხზე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. რა თქმა უნდა, საინტერესოა, აღინიშნოს, რომ დასავლეთმა მხარი დაუჭირა სერბეთისაგან კოსოვოს დამოუკიდებლობას, თუმცა ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საპირისპირო პოზიცია გააჩნია რუსეთს, ის მხარს უჭერს სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ამავე დროს, აღიარებს აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობას.

აუცილებელია შემდეგი გარემოებების გათვალისწინება: საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას მეტი სამართლებრივი და მორალური ბერკეტი გააჩნია, რათა გამართლებულ იქნეს კოსოვოს დამოუკიდებლობა, რადგან, ჯერ კიდევ კოსოვოს კონფლიქტამდე, სწორედ NATO-ის სამხედრო ჩარევის შედეგად, შექერდა ბოსნიელი მუსულმანების გენოციდი 1992-1995 წლებში ბოსნიის კონფლიქტის დროს; იუგოსლავიის ამ ყოფილ რესპუბლიკაში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ერთ-ერთ ყველაზე საშინელი შემთხვევაა, როდესაც იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის - *სლობოდან მილოშევიჩის* რეჟიმის მიერ მხარდაჭერილმა ბოსნიელმა სერბებმა ქალაქ სრებრენიცაში 6000-მდე ბოსნიელი მუსულმანი ცოცხლად დამარხეს.<sup>89</sup> ამასთან, NATO-ის აქტიური მონაწილეობის შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის არსებობის პირობებში, შენარჩუნებულ იქნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ტერიტორიული მთლიანობა და 1995 წელს ხელი მოეწერა დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელმაც ბოსნიის ტერიტორიაზე სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის (სერბები, ხორვატები, ბოსნიელი მუსულმანები) მშვიდობიანი თანაარსებობა უზრუნველყო.<sup>90</sup>

კოსოვოს საკითხზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ NATO-მ საერთაშორისო სამართლის რამდენიმე პრინციპის, კერძოდ, გაეროს წესდების VII თავის ცალკეული მუხლების ძირითადი მოთხოვნები არ გაითვალისწინა, ამას ადგილი ჰქონდა იმ პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, რომელიც იმ პერიოდში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებობდა. კერძოდ, დასავლეთი აქტიურად ცდილობდა, გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში, კოსოვოს საკითხზე რუსეთისა და ჩინეთის მხარდაჭერა მოეპოვებინა, თუმცა, რუსეთი მხარს უჭერდა იმ ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმს (იუგოსლავიას), რომელმაც, ბოსნიის ტერიტორიაზე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, დანაშაული ჩაიდინა, რაც, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა 1948 წელს მიღებულ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას<sup>91</sup>, 1966 წელს მიღებულ საერთაშორისო პაქტს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ<sup>92</sup>, ევროპის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ 1950 წელს მიღებულ რომის კონვენციას<sup>93</sup>, ასევე გაეროს მიერ 1948 წელს მიღებულ კონვენციას გენოციდის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ<sup>94</sup>.

გარდა ამისა, NATO კოსოვოს ტერიტორიაზე მაქსიმალურად იცავდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად პრინციპებს, კერძოდ ჟენევის 1949 წლის კონვენციას, რომელიც საომარ მოქმედებებში ჩართულ მხარეს პასუხისმგებლობას აკისრებდა<sup>95</sup>, რომ კონფლიქტის ზონაში მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული სამოქალაქო პირებისა და ობიექტების უსაფრთხოება, ასევე ჰააგის 1954 წლის კონვენციის მოთხოვნებს<sup>96</sup>, რომლის მიხედვითაც, მეომარმა სახელმწიფომ (ან ორგანიზაციამ) მაქსიმალური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვაზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის მიერ 72 დღის განმავლობაში

<sup>89</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 31-ე სქ., 117.

<sup>90</sup> დასახ. წყარო, 28-ე სქ., 118

<sup>91</sup> *ქარუმბი, ვ.* დასახ. ნაშრომი, მე-10 სქ. 341

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://treaties.un.org/doc/publication/unts/volume%2078/volume-78-i-1021-english.pdf>>.

<sup>95</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.icrc.org/eng/war-and-law/treaties-customary-law/geneva-conventions/overview-geneva-conventions.htm>>.

<sup>96</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<http://unesdoc.unesco.org/images/0018/001875/187580e.pdf>>.

განხორციელებულ დაბომბვებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, იუგოსლავიის სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე შეტევის განხორციელებას ითვალისწინებდა, 2 000-მდე მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა, თუმცა, ამით გადარჩენილ იქნა ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე.<sup>97</sup> ამ სამხედრო კამპანიაში NATO-ის წევრმა სახელმწიფოებმა, მხოლოდ და მხოლოდ, სამხედრო-საჰაერო ძალები გამოიყენა და არავითარ სახმელეთო ოპერაციებს ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება რუსეთის ჩარევას აფხაზეთის კონფლიქტში, საომარი მოქმედებების სცენარი კოსოვოსაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. კერძოდ, ჯერ, სწორედ, კრემლის ჩარევამ მოახდინა სეპარატიზმის პროვოცირება და მისი გაღვივება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთი სეპარატისტულად განწყობილი ბანდფორმირებების შეიარაღებასა და სეპარატიზმის გაღვივებას მაქსიმალურად უწყობდა ხელს. ამაზე მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1992 წლის ივნისში, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების დროს, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი იმუქრებოდა, რომ ქართული ჯარის ცხინვალში შესვლის შემთხვევაში, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალები თბილისს დაბომბავდნენ.<sup>98</sup> გარდა ამისა, რუსეთი მხარს უჭერდა იმ ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც, შემდგომში, რუსეთის ტერიტორიიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად იქნა შეყვანილი. რუსეთი მხარს უჭერდა, საკუთარივე ინიციატივით შექმნილ, ტერორისტულ დაჯგუფებას ე.წ. „მთიელ ხალხთა კონფედერაციას“ მაშინ, როდესაც ამ ტერორისტული ჯგუფის მიერ აცხადებდნენ, რომ საქართველო „ტერორისტული უბედურების ზონად“ უნდა ყოფილიყო გამოცხადებული.<sup>99</sup> სწორედ ეს ფაქტი და რუსეთის ტერორისტულ დაჯგუფებებთან „თანამშრომლობა“ შეგვიძლია, მივიჩნიოთ „სახელმწიფო ტერორიზმის“ ნათელ მაგალითად.<sup>100</sup>

„სახელმწიფო ტერორიზმთან“ დაკავშირებით, გაეროს მიერ ჯერ კიდევ 1984 წელს იქნა მიღებული №13/159 რეზოლუცია<sup>101</sup>, რომლის მიხედვითაც, „გაერო გმობს სახელმწიფო ტერორიზმის ნებისმიერი ფორმის გამოვლენას და მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს, არ გაუწიონ არანაირი მხარდაჭერა ტერორისტულ ორგანიზაციებს“<sup>102</sup>. რუსეთმა თავისი ქმედებებით, დაარღვია ამ რეზოლუციის ძირითადი პრინციპები. გარდა ამისა, თუკი ჩვენ დავეყრდნობით გაეროს 1974 წლის რეზოლუციას აგრესიის შესახებ<sup>103</sup>, სადაც ირბ და პირდაპირ აგრესიაზეა ყურადღება გამახვილებული<sup>104</sup>, აფხაზეთის შემთხვევაში 1993-1994 წლებში ისევე, როგორც სამაჩაბლოს შემთხვევაში, სეპარატიზმისა და ტერორიზმის ხელშეწყობით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ირბი აგრესია განახორციელა და, მოგვიანებით, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც, 2008 წლის აგვისტომდე, აგრძელებდა სეპარატისტული რეჟიმების დაფინანსებასა და ხელშეწყობას<sup>105</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავდება სამხედრო ქმედებების ის ფორმები, რომლებიც NATO-ისა და რუსეთის მიერ იქნა გამოყენებული. ერთი მხრივ, NATO-ის მიერ, ძირითადად, ხდებოდა იუგოსლავიის სამხედრო დანიშნულების ობიექტების დაბომბვა, რამაც, საბოლოო ჯამში, გენოციდის შეჩერება და მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნება უზრუნველყო. რუსეთის კი ქმედება საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესიით, როდესაც იგი სხვადასხვა სახეობის სახმელეთო ნაწილებით შემოიჭრა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; ამასთან, სახეზე იყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო ობიექტების დაბომბვა და სამხედრო-საზღვაო ძალების გემების შემოჭრა საქართველოს

<sup>97</sup> *Bonnén, P.*, Towards a Common European Security and Defence Policy: the Ways and Means of Making it a Reality, LIT, Berlin, Hamburg, Münster, 2003, 188.

<sup>98</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 70-ე სქ., 322.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <<http://www.un.org/documents/ga/res/39/a39r159.htm>>.

<sup>101</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.un.org/documents/ga/res/39/a39r159.htm>>.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>

<sup>104</sup> *ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, დასახ. წყარო მე-4 სქ., 7.

<sup>105</sup> *პიპინაშვილი, დ.*, დასახ. ნაშრომი მე-59 სქ., 87.

ტერიტორიულ წყლებში. ამ ყველაფრის პარალელურად, რუსეთი, საქართველოს წინააღმდეგ, საინფორმაციო ომის წარმოების მიზნით, კიბერშეტევებს ახორციელებდა, კერძოდ, მწყობრიდან იყო გამოსული საქართველოს მთავარი სახელმწიფო უწყებების (პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს) ვებ-გვერდები.

2008 წელს განხორციელებული პირდაპირი აგრესიის შედეგად, დაირღვა 1974 წელს მიღებული გაეროს რეზოლუცია<sup>106</sup>. რუსული თვითმფრინავები დაახლოებით 200-ჯერ უკანონოდ შემოიჭრნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში.<sup>107</sup> ეს ფაქტი კი საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგება<sup>108</sup>, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიის თავზე - საჰაერო სივრცეზე - სუვერენული ქვეყნის იურისდიქცია ვრცელდება და მისი დარღვევა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. რუსული სამხედრო გემების საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოჭრის შედეგად, დაირღვა 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ<sup>109</sup>, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებელი ქვეყნის სანაპირო ზოლიდან 12 მილიან ზონაში კონკრეტული სახელმწიფოს „ტერიტორიული წყლების“ კონტროლი ხორციელდება. 2008 წლის 12 აგვისტოს, ევროპული კავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - საფრანგეთის - შუამავლობის შედეგად, რუსეთმა აიღო ვალდებულება საკუთარი ჯარების 2008 წლის 8 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნების თაობაზე<sup>110</sup>, თუმცა რუსეთმა ეს ვალდებულებაც დღემდე არ შეასრულა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპს „საერთაშორისო შეთანხმებების კეთილსინდისიერი შესრულების შესახებ“<sup>111</sup>.

საერთო ჯამში, რუსეთის აგრესიის შედეგად, მიწასთან იქნა გასწორებული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული სოფლები, ხოლო დაახლოებით 50 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე იძულებული გახდა საკუთარი სახლები დაეტოვებინა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულიყო.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის, რომ, კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით, რუსეთთან წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, მათ შორის, 1999 წელს კოსოვოსთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №12/44<sup>112</sup>, რომელიც კოსოვოს კონფლიქტის დარეგულირებას ითვალისწინებდა. კოსოვოში, NATO-ის სამშვიდობო კონტინგენტთან ერთად, რუსული „სამშვიდობო“ ბატალიონიც იყო დისლოცირებული.<sup>113</sup>

გარდა ამისა, კოსოვოში გაეროს შიდა ადმინისტრაციის მისია ჩამოყალიბდა<sup>114</sup>. მას ოთხი ძირითადი ფუნქცია გააჩნდა, კერძოდ: სამოქალაქო ადმინისტრაციის, რომელსაც უშუალოდ გაერო მართავდა, ჰუმანიტარული დახმარების, რომელსაც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი<sup>115</sup> ხელმძღვანელობდა; დემოკრატიზაციისა და ინსტიტუციური მშენებლობის, რასაც კოორდინირებას ეუთო უწევდა; ეკონომიკური რეკონსტრუქციისა (აღდგენა) და განვითარების, რასაც კურირებდა ევროპული კავშირი. 2001-2002 წლებში კი, საერთაშორისო თანამეგობრობამ ხელი შეუწყო არჩვენების

<sup>106</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>

<sup>107</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 70-ე სქ., 327.

<sup>108</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <[https://www.icao.int/publications/documents/7300\\_orig.pdf](https://www.icao.int/publications/documents/7300_orig.pdf)>. განმარტებები იხ. ასევე, *Игнатенко, В.*, დასახ. ნაშრომი, მე-12 სქ.

<sup>109</sup> იქვე, კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://www.un.org/Depts/los/convention\\_agreements/texts/unclos/unclos\\_e.pdf](https://www.un.org/Depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf)>.

<sup>110</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 70-ე სქ., 328.

<sup>111</sup> *ალექსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, დასახ. წყარო მე-4 სქ.

<sup>112</sup> ჩიტაძე, ნ., დასახ. ნაშრომი, 70-ე სქ., 112.

<sup>113</sup> დასახ. წყარო, 27-ე სქ., 113.

<sup>114</sup> United Nations Interim Administration Mission in Kosovo – UNMIK. იხ. ვებ-გვერდი: <<https://unmik.unmissions.org/about>>.

<sup>115</sup> United Nations' High Commission of Refuges (UNHCR).

ჩატარებას, როდესაც 120-კაციანი ასამბლეა იქნა არჩეული, ხოლო მოგვიანებით, კოსოვოში საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩატარდა, რომელიც გაეროს მიერ ლეგიტიმურად იქნა ცნობილი.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში კი, ორივე მათგანში, ფაქტობრივად, უკონტროლობა სუფევდა და ყოველგვარი ლეგიტიმაციის არმქონე *de facto* ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთს ექვემდებარებოდა; რუსეთი კი, საერთაშორისო თანამეგობრობისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, რისი კულმინაციაც იყო ფართომასშტაბიანი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და კრემლის მიერ ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე.

## დასკვნა

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ, საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარების თვალსაზრისით, დასავლეთმა რუსეთზე სრული გამარჯვება მოიპოვა, რადგანაც კოსოვოს დამოუკიდებლობა 100-ზე მეტმა სახელმწიფომ აღიარა და, დღეისათვის, კოსოვო *de facto* სახელმწიფოა<sup>116</sup>. აფხაზეთმა კი, ვერ მიაღწია *de facto* დამოუკიდებლობას არამარტო იმიტომ, რომ მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ ხუთმა ქვეყანამ სცნო, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ვითარებას, აგრეთვე, აფხაზეთში განთავსებულ სტრატეგიულ ობიექტებს სრულად რუსეთი აკონტროლებს. რუსეთის „მესაზღვრეები“ „იცავენ“ აფხაზეთის ე.წ. „სახელმწიფო საზღვარს“ საქართველოსთან. აფხაზეთის ბიუჯეტის დაახლოებით 70% რუსეთიდან გადმორიცხული თანხებით ფორმირდება.<sup>117</sup> როდესაც ვსაუბრობთ ამ თუ იმ რეგიონის, მათ შორის, სადავო რეგიონის სტატუსზე, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მონტევიდეოს კონვენციის<sup>118</sup> სტანდარტებიც. კონვენცია განსაზღვრავს, კონკრეტულად თუ რომელ რეგიონს შეუძლია, დააკმაყოფილოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტანდარტები და რომელს არა. სულ ოთხი ძირითადი სტანდარტია წარმოდგენილი: ა) მუდმივი მოსახლეობის არსებობა; ბ) განსაზღვრული ტერიტორია; გ) მთავრობა; დ) სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა.<sup>119</sup>

ამ სტანდარტების მიხედვით, კოსოვო უფრო მეტად აკმაყოფილებს სამართლებრივ სტანდარტებს, თუმცა, კოსოვოც, ჯერ-ჯერობით, ვერ გადაიქცა საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად, რადგანაც ამისათვის გაეროს სრულუფლებიანი წევრობაა საჭირო, ეს კი შესაბამისი პროცედურების გავლასმოითხოვს. კერძოდ, გაეროს ახალ წევრად მიღების საკითხის განხილვისას, გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი რეკომენდაცია და იგი გაეროს გენერალურ ასამბლევას მიაწოდოს. გენერალური ასამბლეა, თავის მხრივ, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ამ თუ იმ ქვეყნის გაეროში მიღება/არ მიღების თაობაზე.<sup>120</sup> გაეროს უშიშროების საბჭოში, კოსოვოს გაეროში მიღებასთან დაკავშირებით, რუსეთი ჩინეთთან ერთად ყოველთვის ვეტოს უფლებას გამოიყენებს. ამის მიუხედავად, კოსოვო უკვე არის სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, მაგალითად, კოსოვოს ოლიმპიური კომიტეტი გახლავთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი.<sup>121</sup>

<sup>116</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.mfa-ks.net/?page=2,224>>.

<sup>117</sup> ინფორმაცია იხ. ვებ-გვერდზე: <<http://old.itv.ge/projects/analytics/?page=detail&id=170426>>.

<sup>118</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-40.html>>.

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.olympic.org/news/127th-ioc-session-comes-to-close-in-monaco>>.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი გათვალისწინებულ იქნა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ და სერბეთის სარჩელი არ დააკმაყოფილა: მან დაასკვნა, რომ კოსოვოს ჰქონდა ყველანაირი სამართლებრივი უფლება დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.<sup>122</sup>

რაც შეეხება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საერთაშორისო-სამართლებრივ აღიარებას, რუსეთის პოლიტიკამ, ამ მიმართულებით, სრული კრაზი განიცადა, კრემლმა ვერ მიაღწია ოკუპირებული ტერიტორიების საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტებად ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ზნეობრივი ასპექტები, რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელია, აფხაზეთისგან განსხვავებით, კოსოვოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭების გამართლება. კერძოდ:

- საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არასდროს ეჭქვემ არ დაუყენებია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის საკითხი. აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ყოველთვის ფართო ავტონომიით სარგებლობდა. რაც შეეხება კოსოვოს, მისი ავტონომიის სტატუსი 1989 წელს იუგოსლავიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააუქმა<sup>123</sup>;

- 1992 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე აფხაზეთის რეგიონში აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, რასაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ადასტურებს.<sup>124</sup> რაც შეეხება კოსოვოს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კოსოვოს მოსახლეობის დაახლოებით 90%-ს ეთნიკური ალბანელები შეადგენდნენ, ამ რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სურვილს კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა<sup>125</sup>;

- კოსოვოს შემთხვევაში, სწორედ, სერბეთის ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, როდესაც ამ ტერიტორიაზე ეთნიკური ალბანელების გენოციდს ახორციელებდა. აფხაზეთის შემთხვევაში კი, - ეთნიკური წმენდა რუსეთის ხელშეწყობით - ტერორისტული, ექსტრემისტული შეიარაღებული ფორმირებების უშუალო მონაწილეობით, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე ქართველი ეროვნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ იქნა განხორციელებული, რაც დადასტურებულ იქნა ეუთო-ის 1994 წლის ბუდაპეშტისა<sup>126</sup> და 1996 წლის ლისაბონის<sup>127</sup> სამიტებზე.

აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამართლების მიზნით, რუსეთის პოლიტიკურ თუ კრემლთან დაახლოებულ პოლიტოლოგთა წრეებში, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ, თუ საქართველო, თავის დროზე, უფლებამოსილი იყო საბჭოთა კავშირისგან გამოყოფაზე, რატომ არ გააჩნდა, ამავე დროს, აფხაზეთს უფლება მოეთხოვა საქართველოსგან დამოუკიდებლობა? რა თქმა უნდა, არსებობს შესაბამისი ისტორიული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი არგუმენტები იმაზე, თუ რატომ ჰქონდა უფლება საქართველოს შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო და იგივე უფლება არ გააჩნდა და არ გააჩნია აფხაზეთს. კერძოდ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, ყოველთვის შედიოდა სხვადასხვა ქართული სახელმწიფოს (კოლხეთი, ეგრისი, ერთიანი საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) შემადგენლობაში, ხოლო საქართველო, ისტორიულად, არასდროს არ წარმოადგენდა რუსეთის შემადგენელ ნაწილს, შესაბამისად, საქართველო (ან მისი ცალკეული სამეფო-

<sup>122</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.webcitation.org/5rRB9e3bz?url=http://www.icj-cij.org/docket/files/141/15987.pdf>>.

<sup>123</sup> დასახ. წყარო, 27-ე სქ., 149.

<sup>124</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/otsdakhuti-tseli-damoukideblobis-agdgenis-referendumidan/27646279.html>>.

<sup>125</sup> დასახ. წყარო, 27-ე სქ., 150.

<sup>126</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[https://www.osce.org/event/summit\\_1994](https://www.osce.org/event/summit_1994)>.

<sup>127</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.osce.org/mc/39539?download=true>>.

სამთავროები) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის<sup>128</sup> ძირითადი პირობების (რომლებიც, სხვადასხვა საკითხთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა), ოფიციალური პეტერბურგის მიერ დარღვევის შედეგად, ძალით იქნა ოკუპირებული ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდგომში საბჭოთა რუსეთის მიერ, შესაბამისად, 1801<sup>129</sup> და 1921<sup>130</sup> წლებში. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს მოთხოვნა სსრკ-დან გამოსვლის თაობაზე არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა თვით საბჭოთა კონსტიტუციასაც კი, სადაც სსრკ-ის კონსტიტუციის 72-ე მუხლის საფუძველზე, მოკავშირე რესპუბლიკას გააჩნდა უფლება საბჭოთა კავშირიდან გასვლაზე; ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, სსრკ-ის კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიის შეცვლა არ შეიძლება მომხდარიყო, თვით, ამ მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობის გარეშე (ამ შემთხვევაში საქართველო).<sup>131</sup>

საერთო ჯამში, ალბათ, აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ თითოეული სადავო ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასთან და ერთა თვითგამორკვევასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი, ისტორიული, პოლიტიკური თუ სხვა ასპექტი, რათა, საბოლოო ჯამში, დადგენილ იქნას, რა სამართლებრივი თუ სხვა მექანიზმები არსებობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა თუ ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განსაზღვრის შემთხვევაში? უნდა გაიკვეს, მაგალითად, იყო თუ არა ეს ტერიტორია, თავის დროზე, უკანონოდ ოკუპირებული ან ანექსირებული სხვა სახელმწიფოს მიერ, თუ ისტორიულად კონკრეტული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა? ირღვეოდა თუ არა, და რამდენად, ამა თუ იმ ერის უფლებები კონკრეტული სახელმწიფოს შემადგენლობაში? ამ შემთხვევაში, ალბათ, აუცილებელია, გაიზარდოს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს როლი და ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ, თუ პოლიტიკურ სისტემაში.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პირდაპირ არ გულისხმობს კონკრეტული ერისათვის სრული დამოუკიდებლობისმინიჭებას. ამ შემთხვევაში, კონკრეტული ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, პირველ რიგში, მსოფლიოში მაცხოვრებელი თითოეული ერისათვის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით ფართო ავტონომიის მინიჭებაა გათვალისწინებული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში დეკოლონიზაციის პროცესი, ძირითადად, დასრულდა და, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე 130-ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოჩნდა<sup>132</sup>, საერთაშორისო საზოგადოების მთავარ პრიორიტეტს მაინც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპი უნდა წარმოადგენდეს.

### ბიბლიოგრაფია:

1. *ალოქსიძე, ლ., გიორგაძე, ლ., კვაჭაძე, მ.*, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი, ჯისიაი, თბილისი, 2005.

<sup>128</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.amsi.ge/istoria/sab/georgievski.html>>.

<sup>129</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://sangu.ge/images/vguruli/3ertrus.pdf>>.

<sup>130</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <[http://www.parliament.ge/files/1112\\_27363\\_761965\\_okupacia-1921.pdf](http://www.parliament.ge/files/1112_27363_761965_okupacia-1921.pdf)>.

<sup>131</sup> ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#iii>>.

<sup>132</sup> Chitadze, N., დასახ. ნაშრომი, მე-18 სქ., 141.

2. კოდუა, ე., ბერაია, ლ., სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ლოგოსი, თბილისი, 2004.
3. მამარდაშვილი, გ., წულაძე, გ., მალაფერიძე, ნ., სულაბერიძე, ა., საქართველოს დემოგრაფიული განვითარება, გუშინ, დღეს, ხვალ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტი.
4. მკურნალიძე, გ., ხამხაძე, გ., პოლიტოლოგია, ცოდნა, 2000.
5. ნეიძე, ვ., მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური გეოგრაფია, ლევა, თბილისი, 2004, 46 .
6. პიპინაშვილი, დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.
7. სონღულაშვილი, ა., აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1921-31 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №12, თბილისი, უნივერსალი, 2014.
8. ჩარუმიძე, ვ., საერთაშორისო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო კავშირი ცოდნა, თბილისი, 2004. კოდუა, ე., ბერაია, ლ., სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, ლოგოს პრესი, თბილისი 2004.
9. ჩიტაძე, ნ., გეოპოლიტიკა, უნივერსალი, 2011.
10. ჩიტაძე, ნ., ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, მაჯენტა პრინტი, 2008.
11. ჭანტურია, გ., მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. საქართველოს მაცნე. 2004.
12. ხორავა, ბ., აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე.
13. Basic Facts about the United Nations, United Nations Department of Public Information, New-York, 2005.
14. Basic Facts about the United Nations. United Nations Department of Public Information. New-York, 2005.
15. *Bonnén, P.*, Towards a Common European Security and Defense Policy: The Ways and Means of Making it a Reality, LIT, Berlin, Hamburg, Münster, 2003.
16. *Chitadze, N.*, World Geography. Political, Economic and Demographic Dimensions, Scholars Press, Germany, 2017, 70.
17. *Kegley, C.*, Blanton, S., World Politics. Trend and Transformation, Wadworth, Cengage Learning, USA, 2011, 353.
18. NATO Handbook, Public Diplomacy Division. Brussels, 2006.
19. *Richemond-Barak, D.*, The International Court of Justice on Kosovo: Missed Opportunity or Dispute 'Settlement'? Hague Yearbook of International Law, 2011.
20. *Shafer, K, A.*, The Congress of Berlin of 1878: its origins and consequences, Portland State University, 1989, 50.
21. *Somel, A. S.*, Historical Dictionary of the Ottoman Empire, Scarecrow Press, Oxford, 2003, 268.
22. *Игнатенко, Г. В.*, Международное Право, 2-е издание, Норма, Москва, 2002, 121-134.
23. *Прохоров, А. М.*, Советский Энциклопедический Словарь, 1988.
24. <<http://abkhazia.gov.ge/page/conflictCronology>>.
25. <[http://apsnyteka.org/file/konstitutsiya\\_abkhazskoy\\_ASSR\\_1979.pdf](http://apsnyteka.org/file/konstitutsiya_abkhazskoy_ASSR_1979.pdf)>.
26. <[http://constcentre.gov.ge/failebi/1921\\_clis\\_konstitucia\\_33442.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf)>.
27. <<http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>>.
28. <<http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>>.
29. <<http://hrlibrary.umn.edu/instreet/GAres3314.html>>.
30. <<http://old.itv.ge/projects/analytics/?page=detail&id=170426>>.
31. <<http://unesdoc.unesco.org/images/0018/001875/187580e.pdf>>.
32. <<http://www.amsi.ge/istoria/sab/georgievski.html>>.
33. <<http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#iii>>.
34. <<http://www.hist.msu.ru/ER/Etext/cnst1977.htm#iii>>.
35. <<http://www.mfa-ks.net/?page=2,224>>.
36. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2883>>.

37. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7514>>.
38. <<http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-40.html>>.
39. <[http://www.parliament.ge/files/1112\\_27363\\_761965\\_okupacia-1921.pdf](http://www.parliament.ge/files/1112_27363_761965_okupacia-1921.pdf)>.
40. <<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18506.pdf>>.
41. <<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18506.pdf>>.
42. <<http://www.un.org/documents/ga/res/39/a39r159.htm>>.
43. <<http://www.un.org/en/charter-united-nations/>>.
44. <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39660.pdf>>.
45. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0>>.
46. <<https://sangu.ge/images/vguruli/3ertrus.pdf>>.
47. <<https://treaties.un.org/doc/publication/unts/volume%2078/volume-78-i-1021-english.pdf>>.
48. <[https://undocs.org/S/RES/1244\(1999\)](https://undocs.org/S/RES/1244(1999))>.
49. <<https://unmik.unmissions.org/about>>.
50. <<https://www.constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page>>.
51. <[https://www.icao.int/publications/documents/7300\\_orig.pdf](https://www.icao.int/publications/documents/7300_orig.pdf)>.
52. <<https://www.icrc.org/eng/war-and-law/treaties-customary-law/geneva-conventions/overview-geneva-conventions.htm>>.
53. <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219170>>.
54. <<https://www.nato.int/kosovo/press/p990610a.htm>>.
55. <<https://www.nato.int>>.
56. <[https://www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/UDR\\_Translations/eng.pdf](https://www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/UDR_Translations/eng.pdf)>.
57. <<https://www.olympic.org/news/127th-ioc-session-comes-to-close-in-monaco>>.
58. <[https://www.osce.org/event/summit\\_1994](https://www.osce.org/event/summit_1994)>.
59. <[https://www.osce.org/event/summit\\_1994](https://www.osce.org/event/summit_1994)>.
60. <<https://www.osce.org/mc/39539?download=true>>.
61. <<https://www.osce.org/mc/39539?download=true>>.
62. <<https://www.osce.org>>.
63. <<https://www.radiotavisupleba.ge/a/otsdakhuti-tseli-damoukideblobis-agdgenis-referendumidan/27646279.html>>.
64. <[https://www.un.org/Depts/los/convention\\_agreements/texts/unclos/unclos\\_e.pdf](https://www.un.org/Depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf)>.
65. <<https://www.un.org/documents/ga/res/39/a39r159.htm>>.
66. <<https://www.un.org/en/member-states/>>.
